

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა საარჩევნო კომისიის**

სხდომის ოქმი N1

30 ოქტ., 2014 წ.

თსუ მეორე აკადემიური კორპუსი, ოთახი N245

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ირაკლი კობახიძე
2. დემეტრე ეგნატაშვილი
3. გიორგი ამირანაშვილი
4. ინეზა გაგნიძე
5. ნინო დურგლიშვილი
6. ვალერიან რამიშვილი
7. ვაჟა ტრაპაიძე
8. ეკატერინე ფირცხალავა
9. ჯენარა ქრისტესაშვილი

დღის წესრიგი:

1. კომისიის ახალი წევრის უფლებამოსილების ცნობა

მოისმინეს:

დ. ეგნატაშვილმა კომისიას გააცნო თსუ რექტორის 2014 წლი 30 ოქტომბრის №195/01-01 ბრძანება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ თსუ რექტორის 2014 წლის 06 ოქტომბრის N178/01-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ცვლილების თანახმად, კომისიის შემადგენლობაში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან ასოცირებულ პროფესორ რამაზ ხომერიკის ნაცვლად წარმოდგენილი იქნებოდა ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე. მიზანშეწონილი იქნებოდა კომისიის ახალი წევრის, ასოც. პროფ. ვაჟა ტრაპაიძის უფლებამოსილების ცნობა.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

ცნობილ იქნეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მხრიდან კომისიის შემადგენლობაში წარმოდგენილი წევრის, ასოც. პროფ. ვაჟა ტრაპაიძის უფლებამოსილება.

2. საარჩევნო კომისიის სტრუქტურის განსაზღვრა

მოისმინეს:

დ. ეგნატაშვილმა კომისიის სხდომას შესთავაზა, კომისიას მუშაობა წარემართა იმავე სტრუქტურით, როგორც თსუ აკადემიური საბჭოს წევრთა გასული, 2014 წლის ოქტომბრის არჩევნების მიზნებისათვის იყო განსაზღვრული.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საარჩევნო კომისიის სტრუქტურა განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. ირაკლი კობახიძე – თავმჯდომარე
2. დემეტრე ეგნატაშვილი – თავმჯდომარის მოადგილე
3. გიორგი ამირანაშვილი – მდივანი
4. ინეზა გაგნიძე – ჩვეულებრივი წევრი
5. ნინო დურგლიშვილი – ჩვეულებრივი წევრი
6. ვალერიან რამიშვილი – ჩვეულებრივი წევრი
7. ვაჟა ტრაპაიძე – ჩვეულებრივი წევრი
8. ეკატერინე ფირცხალავა – ჩვეულებრივი წევრი
9. ჯენარა ქრისტესაშვილი – ჩვეულებრივი წევრი

3. საარჩევნო კანდიდატად რეგისტრაციისათვის წარმოსადგენ დოკუმენტთა ჩამონათვალის დამტკიცება

მოისმინეს:

ი. კობახიძემ კომისიას წარუდგინა წინადადება საარჩევნო კანდიდატის სარეგისტრაციო დოკუმენტებად (ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლის, (ბ) ავტობიოგრაფიისა (*Curriculum Vitae*) და (გ) შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი ცნობის (თუკი განმცხადებელი პროფესორია) ან სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის (თუკი განმცხადებელი სტუდენტია) განსაზღვრის შესახებ, რომლებიც თან უნდა დაერთოს სარეგისტრაციო განცხადებას.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საარჩევნო კანდიდატად რეგისტრაციისათვის სავალდებულოა (ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლის, (ბ) ავტობიოგრაფიისა (*Curriculum Vitae*) და(გ) შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი ცნობის (თუკი განმცხადებელი პროფესორია) ან სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის (თუკი განმცხადებელი სტუდენტია) წარმოდგენა სარეგისტრაციო გაცხადებასთან ერთად.

4. საარჩევნო კანდიდატთა სარეგისტრაციო განცხადების ფორმის დამტკიცება

მოისმინეს:

დ. ეგნატაშვილმა კომისიას წარუდგინა საარჩევნო კანდიდატის სარეგისტრაციო განცხადების ფორმა (დანართი N1).

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტიკიცდეს საარჩევნო კანდიდატის სარეგისტრაციო განცხადების ფორმა (დანართი N1).

თავმჯდომარე

/ი. კობახიძე/

მდივანი

/გ. ამირანაშვილი/

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა
საარჩევნო კომისიას

ამავე უნივერსიტეტის

ფაკულტეტის დასახელება

პროფესორ / სტუდენტ

პროფესორის / სტუდენტის სახელი და გვარი

პირადი ნომერი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, დამართოთ ნება, დავრეგისტრირდე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა 2014 წლის 12 ნოემბრის არჩევნებზე სენატის წევრობის კანდიდატად _____ ფაკულტეტზე.

განცხადებას თან ერთვის:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი _____ გვერდი
- ავტობიოგრაფია (*Curriculum Vitae*) _____ გვერდი
- შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი ცნობა (თუკი განმცხადებელი პროფესორია) _____ გვერდი
- სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა (თუკი განმცხადებელი სტუდენტია) _____ გვერდი

პატივისცემით,

ხელმოწერა

ტელ. ნომერი: _____

ელ. ფოსტის მისამართი: _____

ფაქტობრივი მისამართი: _____

_____, 2014 წ., თბილისი

თარიღი